ოქმი N1

2026 წლის 1 აპრილი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მ/წლის 27 თებერვლის N№44.442605853 ბრძანებით ,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2027-2030 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების თაობაზე" ბრძანებით განსაზღვრული სამუშაო ჯგუფის შეხვედრა

სამუშაო ჯგუფის სხდომას ესწრებოდნენ ჯგუფის წევრები

განსახილველი საკითხი

-საბიუჯეტო კალენდრიდან გამომდინარე შესაბამის საბიუჯეტო ორგანიზაციებთან შეხვედრის განრიგის დადგენა.

აღინიშნა, რომ არსებული საბიუჯეტო პროცესის შესაბამისად, უნდა განისაზღვროს საბიუჯეტო ორგანიზაციებთან შეხვედრის განრიგი, რათა მაღალ დონეზე და კანონმდებლობით გათვალისწინებული ფორმატით მომზადდეს 2027 წლის ბიუჯეტი

თანდართული მასალებით, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა და პრიორიტეტების დოკუმენტი

სამუშაო ჯგუფმა მოიწონა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ორგანიზაციებთან შეხვედრის განრიგი.

საბიუჯეტო ორგანიზაციებთან შეხვედრის განრიგი თან ერთვის

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი,(სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი)

ოთარი ფანცხავა

საბიუჯეტო კალენდრიდან საბიუჯეტო ორგანიზაციებთან და სამუშაო ჯგუფთან შეხვედრის განრიგი

	თარიღი/ვადა	აქტივობა
	1 ივნისი	სამუშაო ჯგუფი იკრიბება პრიორიტეტების დასადგენად და/ან უკვე განსაზღვრული პრიორიტეტების დასახარისხებლად, რაც უნდა განხორციელდეს ადგილობრივი თვითმმართველობის მრავალწლიანი ან საშუალოვადიანი გეგმის დოკუმენტის, სიტუაციის ანალიზისა და/ან მოქალაქეთა კვლევის შედეგების საფუძველზე (არჩევით).
	5-15 ივნისი	საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის (ააიპ, შპს) შესაბამისი სწავლების ორგანიზება მუნიციპალიტეტის 2027-2030 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტების დოკუმენტის და საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შედგენის მიზნით.
	15-25 ივნისი	დარგობრივი სამსახურებისათვის შესაბამისი სწავლების ორგანიზება მუნიციპალიტეტის 2027-2030 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტების დოკუმენტის და საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შედგენის მიზნით.
	5 აგვისტო	საფინასო სამსახური სამუშაო ჯგუფთან ერთად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან 15 ივლისს მიღებული ძირითადი პარამეტრების გათვალისწინებით, ამზადებს პრიორიტეტების დოკუმენტის პირველად ვარიანტს და წინადადებას ზღვრული მოცულობების თაობაზე, რომელსაც იწონებს მუნიციპალიტეტის მერი.
	25 აგვისტო	საფინანსო სამსახური, იხილავს წარმოდგენილი განაცხადის ფორმებს და ამზადებს საშუალოვადიან სამოქმედო გეგმის შესახებ მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტს და წარუდგენს სამუშაო ჯგუფს
	1 ოქტომბერი	საფინანსო სამსახური ბიუჯეტის პროექტის წინასწარ ვარიანტს განსახილველად წარუდგენს სამუშაო ჯგუფს, სამუშაო ჯგუფთან ასევე წარდგენილი უნდა იყოს სამსახურების მოთხოვნები (არსებობის შემთხვევაში) დამატებით ასიგნებებზე შესაბამისი სამიზნე მაჩვენებლებით.
	5 - 25 ოქტომბერი	საფინანსო სამსახური, საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან 5 ოქტომბერს მიღებული საპროგნოზო მაჩვენებლების გათვალისწინებით, ამზადებს მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტს, განმარტებით ბარათს თანდართული მასალებით და პრიორიტეტების დოკუმენტს და განსახილველად წარუდგენს სამუშაო ჯგუფს

შენიშვნა: პრიორიტეტების დოკუმენტის მოსამზადებლად შექმნილი სამუშაო ჯგუფი უფლებამოსილია შეიკრიბოს დამატებით საჭიროებიდან გამომდინარე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი (სამუშაო ჯგუფის კორდინატორი)

ოთარი ფანცხავა